

ორმოების ამოღების ვადები და წესი

საბაღე ნაკვეთის შერჩევის, მომზადების და დაგეგმვის შემდეგ, უნდა ვიზრუნოთ ორმოების დროულად ამოღებაზე და ნამყენი ნერგის დარგვაზე. იმ ნაკვეთზე, სადაც ღრმა მოხვნა-პლანტაჟი ნაკვეთის სიმცირის გამო არ ჩატარებულა, ორმოების ამოთხრას იწყებენ დარგვამდე 1 - 1,5 თვით ადრე. ნიადაგის წინასწარი ღრმა მოხვნა-პლანტაჟით დამუშავებისას, ორმოების ამოთხრას იწყებენ დარგვამდე, რამოდენიმე 2 -3 დღით ადრე. ხეხილის დარგვამდე ორმოების ამოთხრა მიზანშეწონილია, რადგან ამოღებული მიწა მზის, წვიმებისა და ჰაერის ზეგავლენით კარგად ფხვიერდება, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს პირველ წლებში ახალგაზრდა ნარგაობის გახარება-განვითარებისთვის.

ორმოს სიღრმე და სიგანე დამოკიდებულია ნიადაგის და ქვენიადგის შედგენილობაზე. ნიადაგი სადაც უფრო ფხვიერია, შეიძლება შედარებით პატარა ორმო მოითხაროს. კირიან და ხრეშიან ნიადაგში უმჯობესია განიერი და ღრმა ორმოების ამოღება. თუ ნიადაგი ფხვიერია, ხოლო ქვენიადგი წყლის გაუმტარი, თიხისა და კლდის ფენებისაგან შედგება, ორმოები ამოიღება თიხის ფენებამდე, რათა ორმოში წყალი არ დაგუბდეს, ნიადაგი არ დაჭაობდეს და ფესვების ლპობა არ გამოიწვიოს. საერთოდ, მიღებულია 60 სმ სიგანის და 50 სმ სიღრმის ორმოების ამოთხრა.

ზედაპირული სახნავი ჰორიზონტის ნიადაგი, მის ქვედა ფენებთან შედარებით, მდიდარია საკვები ნივთიერებებით, ამიტომ დასარგავი ორმოს ამოთხრისას ზედა ჰორიზონტის ნიადაგი ორმოს ძირში ხეხილის ფესვებთან უნდა ჩავყაროთ, ამისათვის ორმოს ამოთხრისას ნიადაგის ზედა ფენას / დაახლოებით 25- სმ / ორმოს ერთ მხარეს ყრიან, ქვედას კი მეორე მხარეს.

ხეხილის დარგვისას ორმოში უნდა შევიტანოთ 12 - 15 კგ ორგანული სასუქი.